საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2311

2020 წლის 20 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის“ მე-4 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შენიშვნის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-4 პუნქტის:

ბ.ა) „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ბ) საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების გავლით შემოსული მგზავრების შემთხვევაში, სკრინინგს, ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების შესაბამისად;“;

ბ.ბ) „გ“ ქვეპუნქტის შენიშვნის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.გ) „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. განკარგულება ძალაშია 2020 წლის 20 ნოემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**